საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №113

ქ. ბათუმი 11 ოქტომბერი, 2018 წ.

,,საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2018-2019 სასწავლო წლის აკადემიური კალენდრის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 28 ივნისის №64 დადგენილებაში დამატების შეტანის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, 33-ე მუხლის მე-4 პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანის 2018 წლის 27 სექტემბრის MES 1234611 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2018-2019 სასწავლო წლის აკადემიური კალენდრის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 28 ივნისის №64 დადგენილებაში შევიდეს დამატება, კერძოდ, დადგენილების **პირველი პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 1^1, 1^2 და 1^3 პუნქტები.**

,,1^1. ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დიპლომირებული მედიკოსის (ინგლისურენოვანი) ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტებისათვის (უცხოელების ე.წ. მე-7 ნაკადის) 2018-2019 სასწავლო წლის აკადემიური კალენდარი (სასწავლო პროცესის ვადები) განისაზღვროს ბსუ-ს რექტორის ბრძანებით, ფაკულტეტის დეკანის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე.

1^2. ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დიპლომირებული მედიკოსის (ინგლისურენოვანი) ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე 2018-2019 სასწავლო წლის დაწყებამდე ჩარიცხული სტუდენტებისათვის 2018-2019 სასწავლო წლის აკადემიური კალენდარი (სასწავლო პროცესის ვადები) განისაზღვროს შემდეგნაირად:

ა) შემოდგომის სემესტრში სასწავლო პროცესი დაიწყოს 2018 წლის 15 ოქტომბერს და დასრულდეს 2019 წლის 8 თებერვალს;

ბ) საშობაო არდადეგები 2018 წლის 29 დეკემბრიდან 2019 წლის 7 იანვრის ჩათვლით;

გ) შემოდგომის სემესტრის ძირითადი საგამოცდო სესია ჩატარდეს 2019 წლის 11 თებერვლიდან 2 მარტის ჩათვლით;

დ) შემოდგომის სემესტრის დამატებითი საგამოცდო სესია ჩატარდეს 2019 წლის 4 მარტიდან 9 მარტის ჩათვლით;

ე) გაზაფხულის სემესტრის სასწავლო პროცესი დაიწყოს 2019 წლის 11 მარტს და დამთავრდეს 2019 წლის 5 ივლისს;

ვ) გაზაფხულის სემესტრის ძირითადი საგამოცდო სესია ჩატარდეს 2019 წლის 8 ივლისიდან 27 ივლისის ჩათვლით;

ზ) გაზაფხულის სემესტრის დამატებითი საგამოცდო სესია ჩატარდეს 2019 წლის 29 ივლისიდან 2 აგვისტოს ჩათვლით;

თ) სააუდიტორიო მეცადინეობები ჩატარდეს ყოველდღე, გარდა კვირისა.

ი) სააუდიტორიო მეცადინეობების ხანგრძლივობა განისაზღვროს 50 წუთით, ხოლო მეცადინეობათა შორის შუალედი - 10 წუთით.

1^3. ბსუ-ს მიმდინარე სარემონტო სამუშაოებთან დაკავშირებით ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე და ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის განათლების მიმართულებით საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესი დაიწყოს 2018 წლის 15 ოქტომბრიდან. სასწავლო პროცესის სხვა ვადების შესახებ სამართლებრივი აქტები, საჭიროების შემთხვევაში, გამოსცეს ბსუ-ს რექტორმა.

2. წინამდებარე დადგენილება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, რექტორის მოადგილეებს, ფაკულტეტებს, დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულებს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, ბსუ-ს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, იურიდიულ დეპარტამენტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.

3. დადგენილება გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

4. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, ასოც. პროფესორი **მერაბ ხალვაში**